



MES 7 22 0001530865



01/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 18.11.2022

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 14:40 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
6. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

8. ეკა შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანაელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ნანა ჯულაყიძე		ფაკულტეტის დეკანი	I
3	მირანდა მნაცაკანინაი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	ტარიელ ქემოკლიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	II, III, IV, V
6	ნინო იმნაძე		არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III, IV, V
7	ნუგზარ ხვედელიანი		„არქიტექტურის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV, V
8	გიორგი წულუკიძე		„არქიტექტურის“ ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV, V
9	ლევან ბერიძე			

			„არქიტექტურის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV, V
10	მედეა მელქაძე		„არქიტექტურის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV, V

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV, V
3	თინათინ ხიმშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV, V

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ დიახ

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და რუსულენოვანი საბაკალავრო ერთობლივი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი ყოფილიყო ერთად, რის შემდგომაც საბჭოს წევრები შეიკრიბებოდნენ სათათბიროდ თუმცა ამავე დროს რიგითობის ცვლილება დღის წესრიგში არ განხორციელდებოდა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩოსთან შესაბამისობა);

1.პირველი საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 5 ნოემბერი N 1193209
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 - მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.ქუთაისი 4600, თამარ მეფის ქუჩა №59, კორპუსი №4
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა რომეო გალდავამ განაცხადა, რომ ის იყო ჩართული უშუალოდ პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, შესაბამისად მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში შესწავლილი იქნა მის მიერ. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულების მიერ შესრულებული იყო რეკომენდაციები და გარკვეული რჩევები, რაც მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე ეტაპისათვის. სასურველი იყო დაწესებულებას გაეგრძელებინა მუშაობა მუდმივი განვითარების თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები მნიშვნელოვანი იყო პროგრამის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულება მუდმივად გააგრძელებდა მუშაობას პროგრამის სრულყოფის მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:00

დასრულების დრო: 14:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

2.მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №549, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0160, მ.კოსტავას ქ. №77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

3.მესამე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების №543, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დამკვეთის წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0160, მ.კოსტავას ქ. №77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების №550, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დამკვეთის წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0160, მ.კოსტავას ქ. №77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №454, 24.09.2012
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0160, მ.კოსტავას ქ. №77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკა შაკიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საბჭოზე განიხილებოდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და „არქიტექტურის“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითები, მათი განხილვა განხორციელებულიყო ერთად.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, გიორგი წანაწყენიშვილმა „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მის მიერ განხორციელდა პროგრამის შესწავლა და წარმოდგენილი იყო შესაბამისი დასკვნა. პროგრამა აპრობირებული იყო წლების მანძილზე, იყო მოცულობითი და მოიცავდა ბევრ საგანს. მას ჰქონდა რჩევა ერთ-ერთი საგნის დასახელებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „გარემოს დიზაინერული დაპროექტების თეორიას და პრაქტიკული საფუძვლებს“ და მისი მოსაზრებით ტერმინი დიზაინი თავისთავად მოიცავდა დაპროექტებას სასურველი იყო სახელწოდება ფორმულირებული ყოფილიყო როგორც „გარემოს დიზაინის თეორია და პრაქტიკული საფუძვლები“ ან დიზაინის ნაცვლად გამოყენებული ყოფილიყო ტერმინი დაპროექტება. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ „არქიტექტურის“ ქართულენოვანი და რუსულენოვანი პროგრამა იყო იდენტური. რაც შეეხებოდა სამაგისტრო პროგრამას, აღსანიშნავი იყო, რომ პირველ სემესტრში გათვალისწინებული იყო საგანი „პროექტების მენეჯმენტი არქიტექტურასა და მშენებლობაში“. რჩევის სახით მისი მოსაზრება გახლდათ, რომ აღნიშნული საგნის დასახელება შესაძლებელი იყო სხვანაირად ყოფილიყო ჩამოყალიბებული, ვიანიდან საგნის სათაურში მკაფიოდ არ ჩანდა თუ რა პროექტების მენეჯმენტს ეხებოდა კურსი. უმჯობესი იქნებოდა თუ საგნის სათაური ჩამოყალიბდებოდა სხვაგვარად. კერძოდ, „არქიტექტურული პროექტების მენეჯმენტი მშენებლობის პროცესში“. ასევე შესაძლებელი იყო თავად საგნის ავტორს შეეთავაზებინა საგნის ალტერნატიული დასახელება.

საბჭოს თავმჯდომარემ „არქიტექტურის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით იკითხა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე ირიცხებოდა 60 დოქტორანტი. მიმდინარე წელს პროგრამაზე ჩაირიცხა 4 დოქტორანტი.

ექსპერტმა „არქიტექტურის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა თავისი შინაარსით და სტრუქტურით იყო მისაღები, მას არ დაუფიქსირებია რჩევები და რეკომენდაციები, შესაბამისად ის სრულად იზიარებდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამას და მის სტრუქტურას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია ოთხივე პროგრამასთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იფიქრებდნენ ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეცევების შესრულებაზე. მისი განცხადებით სილაბუსში ცვლილების განხორციელებას ესაჭიროება შესაბამისი ეტაპების გავლა. შესაბამისად დეპარტამენტის, თვითშეფასების ჯგუფის და ფაკულტეტის საბჭოს მიერ საკითხების განხილვის შემდგომ მიიღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაში სასწავლო კონპონენტის კრედიტების მოცულობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კონპონენტი მოიცავდა 40 კრედიტს, დანარჩენი კრედიტები გადანაწილებული იყო კვლევით კონპონენტზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა შედეგი იდებოდა და რა პროდუქტი იქმნებოდა დაწესებულებაში „არქიტექტურის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში ქალაქგეგმარების მიმართულებით ტარდებოდა უმნიშვნელოვანესი კვლევები, რომელიც ასახვას პოულობდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქების სივრცული განვითარების გენგეგმაში. ასევე ხორციელდებოდა კვლევები კლიმატოლოგიის და ეკოლოგიის საკითხებზე, რომელიც ასახვას

პოულობდა დებულებებში და კანონმდებლობაში. ასევე პროგრამის ფარგლებში განხილული იყო ტიპოლოგიის საკითხები არქიტექტურაში, განხილული იყო არქიტექტურა ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური, მხატვრულ-ესთეტიური კუთხით. განიხილებოდა არქიტექტურის მნიშვნელობის საკითხი ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით ხორციელდებოდა მუდმივი შეხვედრები როგორც საქართველოს პარლამენტში ასევე სხვადასხვა ქალაქების საკრებულებოში. სწორედ სადისერტაციო ნაშრომებით ტარდებოდა მეტწილი კვლევები საქართველოში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ხორციელდებოდა კვლევები ენერგოეფექტურობის თვალსაზრისითაც. თითოეულ სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომს ჰქონდა პრაქტიკული ღირებულება. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ სადისერტაციო ნაშრომების ფარგლებში ერთგვარად იქმნებოდა ქართულენოვანი ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვანი იყო როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო დონისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:10

დასრულების დრო: 14:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ “არქიტექტურის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ “არქიტექტურის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ “არქიტექტურის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “არქიტექტურის” რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ “არქიტექტურის” რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 18 ნოემბრის 14:40 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა

